ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

. განკარგულება № 109

29 მარტი
"___" _____ 2024 ∇

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ძოწის ქუჩა №2ში, №01.14.01.008.092 ; №01.14.01.008.093; №01.14.01.008.096 და №01.14.01.008.097 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზებისა და შესაბამისი შეთანხმების პირობების შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილ საკითხთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებათა თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 7 დეკემბრის №18.996.1373 განკარგულების პირველი და მე-3 პუნქტების, აგრეთვე, „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ძოწის ქუჩა №2-4-ში, №01.14.01.008.092; №01.14.01.008.093; №01.14.01.008.096 და №01.14.01.008.097 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 21 მარტის №24.461.524 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ძოწის ქუჩა №2-4-ში, №01.14.01.008.092 ; №01.14.01.008.093; №01.14.01.008.096 და №01.14.01.008.097 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 21 მარტის №24.461.524 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ვაკის

რაიონი, ძოწის ქუჩა №2ში, №01.14.01.008.092; №01.14.01.008.093; №01.14.01.008.096 და №01.14.01.008.097 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №1-ით განსაზღვრულ პირთათვის სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზებაზე, ამავე განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

დანართი 1

ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4

	სახელი / გვარი	პირადი ნომერი	კოოპერატივის ნომერი	საცხოვრებელი ფართი (კვ.მ.)	მიწის ნაკვეთის წილი - კვ. მ	სართული და ბინა	საკადასტრო კოდი
1	მანანა შენგელია	01006002329	645	125.50	197.126	სართ. 6, ბინა 53	01.14.01.008.096.01.01.053
2	გიორგი ბეროზაშვილი	01017028272	645	75.00	117.804	სართ. 7, ბინა 66	01.14.01.008.092.01.01.066
3	ბესიკ ბლიაძე მაია ბლიაძე	01030013809 01030011467	645	125.50	197.126	სართ. 11, ბინა 105	01.14.01.008.093.01.01.105
4	თეონა ჭელიშვილი	01019067853	645	125.50	197.126	სართ. 6, ბინა 62,	01.14.01.008.092.01.01.062
5	დავით ჯოხაძე გიორგი ჯოხაძე	01017002269 01013015589	641	105.50	165.712	სართ. 11 ბინა 98	01.14.01.008.093.01.01.098
6	ლიანა კაცაძე	01001025524	598	78.50	123.302	სართ. 2, ბინა 18,	01.14.01.008.097.01.01.018

დანართი N2

შეთანხმება

ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-ში, N01.14.01.008.092 ; N01.14.01.008.093; N01.14.01.008.096 და N01.14.01.008.097 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის /მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების თაობაზე

ქ. თბილისი [●] 2024 წელი

(1) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“), წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის, ირაკლი თავართქილაძის (პ/ნ: 01024052796) მიერ;

(2) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები/მათი უფლებამონაცვლეები: მანანა შენგელია (პ/ნ: 01006002329), გიორგი ბეროზაშვილი (პ/ნ: 01017028272), ბესიკ ბლიაძე (პ/ნ: 01030013809) ; მაია ბლიაძე (პ/ნ: 01030011467), თეონა ჭელიშვილი (პ/ნ: 01019067853), დავით ჯოხაძე (პ/ნ: 01017002269) ; გიორგი ჯოხაძე (პ/ნ: 01013015589) და ლიანა კაცაძე (პ/ნ: 01001025524) - (შემდგომში - „კოოპერატივის წევრები“);

(3) შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“ (ს/ნ: 405589395) წარმოდგენილი კომპანიის დირექტორის [●] მიერ (შემდგომში - „კომპანია“).

შემდგომში თითოეული ერთობლივად წოდებული, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე - „მხარე“;

პრეამბულა

ვინაიდან, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს (შემდგომში - „მუნიციპალიტეტი“) დაევალა, რომ უზრუნველყოს ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ;

„ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 თებერვლის N21.93.107 განკარგულებითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2021 წლის 16 თებერვლის N57 განკარგულებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული - ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ N01.14.01.008.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის კოოპერატივის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და შპს „ჰორვატსისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.“

„ვინაიდან, 2021 წლის 24 მარტს სააგენტოს, ყოფილ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებს, და შპს „ჰორვატს“-ს (ს/ნ: 405349154) შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“);

ვინაიდან, სააგენტოს, ამხანაგობა „ძოწს“, შპს „ჰორვატს“-ს (ს/ნ: 405349154) და კომპანიას - შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“ (ს/ნ: 405589395) შორის 2023 წლის 24 თებერვალს გაფორმდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს“-ს (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ შეთანხმება;

ვინაიდან, ზემოხსენებული შეთანხმებით შეიცვალა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგიერთი ვადა და აგრეთვე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობაში შპს „ჰორვატსი“ (ს/ნ: 405349154) სრულად ჩაანაცვლა კომპანიამ - შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“ (ს/ნ: 405589395) (შემდგომში - „კომპანია“);

ვინაიდან, ხელშეკრულების 3.2. პუნქტით განსაზღვრულია შემდეგი: „კომპანიის მიერ სააგენტოსა და კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის ჯამური ოდენობა შეადგენს 18 000 კვ. მ-ს, საიდანაც 967.12 კვ.მ საცხოვრებელი ფართი გადაეცემა სააგენტოს ან/და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირ(ებ)ს, ხოლო ჯამურად 17032.88 კვ.მ - კოოპერატივის წევრებს.

ვინაიდან, ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“-მ“ (ს/ნ: 405589395) მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია უზრუნველყო ჯამურად 967.21 კვ.მ ფართობის მშენებარე ინიდივიდუალურ ფართებზე;

ვინაიდან, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრების მიერ, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა განცხადებები, რომლითაც აღნიშნული პირები ადასტურებენ, რომ წინამდებარე შეთანხმების დანართით განსაზღვრულ მშენებარე ფართებზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საკუთრების უფლებისა და სამშენებლო პროექტის განმახორციელებელი კომპანიის მიერ, ამავე ფართების მშენებლობადასრულებული მდგომარეობით საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით, უარს აცხადებენ მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის მარტის N [●] ა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მარტის N [●] განკარგულებების საფუძველზე,

მხარეები ვთანხმდებით, რომ დავდოთ წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში - „შეთანხმება“):

1. შეთანხმების საგანი და მოქმედების სფერო

1.1. მხარეები ვთანხმდებით, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი/სააგენტო წინამდებარე შეთანხმების დანართით განსაზღვრულ შესაბამის მშენებარე ფართებზე საკუთრების უფლებას, ამ შეთანხმებითა და ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, გადასცემს ამავე დანართით განსაზღვრულ შესაბამის კოოპერატივის წევრებს.

1.2. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერითა და ამ შეთანხმების დანართით განსაზღვრულ მშენებარე ფართებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციით, ამავე დანართით გათვალისწინებულ კოოპერატივის წევრებს სრულად გადაეცემათ ხელშეკრულებით ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისათვის განსაზღვრული შესაბამისი უფლებები და ვალდებულებები, ამ შეთანხმებით განსაზღვრული უძრავი ქონების ნაწილში.

1.3. მხარეთა შორის ამ შეთანხმების დანართით გათვალისწინებულ შესაბამის უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, პირობები, რომელიც არ რეგულირდება ამ შეთანხმებით, რეგულირდება ხელშეკრულებით.

1.4. ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე შეთანხმებასა და ხელშეკრულებას შორის ნებისმიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ამ შეთანხმების პირობებს.

2. საპრივატიზებო საფასური და პირობები

2.1. ამ შეთანხმების დანართით გათვალისწინებული შესაბამისი უძრავი ქონების საკუთრების უფლებით მიღების სანაცვლოდ, შესაბამისი კოოპერატივის წევრები სრულად ამბობენ უარს მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებაზე, მოთხოვნაზე, ინტერესსა ან/და პრეტენზიაზე საქართველოს სახელმწიფოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (სააგენტოს) ან/და მათი ნებისმიერი ორგანოს წინაშე.

2.2. თითოეულ კოოპერატივის წევრს ამ შეთანხმების დანართით განსაზღვრული შესაბამისი უძრავი ქონება, გადაეცემა სიმბოლურ ფასად, 1 - (ერთი) ლარად (შემდგომში - „საპრივატიზებო საფასური“). კოოპერატივის წევრების მიერ საპრივატიზებო საფასური გადახდილ უნდა იქნას ამ შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773306
დანიშნულება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების გაყიდვიდან

2.3. ამ შეთანხმების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო საფასურის გადახდის შემდეგ, სააგენტო გასცემს საკუთრების უფლების გადაცემის დამადასტურებელ მოწმობას მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში და წესით.

3. მხარეთა განცხადებები

3.1 სააგენტო აცხადებს და ადასტურებს, რომ ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე, ხელშეკრულების დადების მომენტისთვის, რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლება. აღნიშნული ქონება, უფლებრივად უნაკლოა, არ არის იპოთეკით დატვირთული და არ არის დაყადაღებული.

3.2 კომპანია აცხადებს და ადასტურებს, რომ ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულებს კოოპერატივის წევრების მიმართ ამ შეთანხმებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;

3.3 კოოპერატივის წევრები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ:

3.3.1. შეთანხმების დანართში მითითებულ პირებს, მათ უფლებამონაცვლეებს, მარწმუნებლებს, წარმომადგენლებს ან/და მათი სახელით სხვა პირებს სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, არ მიუღიათ არანაირი უძრავი ქონება, მატერიალური ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ფულადი თანხა და ა. შ, შესაბამისი სახელმწიფო საშინაო ვალის/კოოპერატიული ბინის სანაცვლოდ ან/და მისგან გამომდინარე.

3.3.2. ამ შეთანხმების გაფორმების მომენტში, დანართში მითითებული ყველა პირი ნამდვილად წარმოადგენს ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს ან/და წევრის უფლებამონაცვლეს და არ არსებობენ მესამე პირები, რომელთაც აღნიშნულთან დაკავშირებით, მათ მიმართ აქვთ პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება.
3.3.3. ამ შეთანხმების და ხელშეკრულების ფარგლებში, მათ მიმართ სააგენტოს ერთადერთ ვალდებულებას წარმოადგენს შეთანხმების დანართით განსაზღვრულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა ამ შეთანხმების პირველი პუნქტის შესაბამისად. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოოპერატივის წევრებს არ აქვთ და არ წარმოეშობათ რაიმე სახის უფლება, მოთხოვნა, ინტერესი ან/და პრეტენზია საქართველოს სახელმწიფოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (სააგენტოს) ან/და მათი ნებისმიერი ორგანოს მიმართ.
3.3.4. მათთვის ცნობილია ამ შეთანხმების საფუძველზე გადასაცემი უძრავი ქონების უფლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობა, მათ შორის, მისი მშენებარე სტატუსი, ხარისხი, მახასიათებლები, სავარაუდო ღირებულება და აღნიშნულთან დაკავშირებით არ გააჩნიათ არანაირი პრეტენზია (მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ უძრავი ქონების (სავარაუდო) ღირებულება ნაკლებია შესაბამის სახელმწიფო საშინაო ვალის/კოოპერატიული ბინის (სავარაუდო) ღირებულებაზე.
3.3.5. გაეცნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრების/მათი უფლებამონაცვლეების უფლებებსა და მოვალეობებს სრულად და აცხადებენ თანხმობას, რომ მიიღონ ხელშეკრულებით ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის /მათი უფლებამონაცვლეებისთვის განსაზღვრული ყველა შესაბამისი უფლება და შეასრულონ ყველა ვალდებულება, ამ შეთანხმებით განსაზღვრული შესაბამისი ქონების ნაწილში.
3.3.6. ლიზა ბრეგვაძის (პ.ნ: 01017035234) უფლებამონაცვლეები: დავით ჯოხაძე (პ.ნ: 01017002269) და გიორგი ჯოხაძე (პ.ნ: 01013015589) აცხადებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, საქართველოს უზენაესის სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება (საქმე Nბს-861-823 (კ-07) მათ მიმართ ჩაითვლება აღსრულებულად და აღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე არ აქვთ/არ წარმოეშობათ არანაირი პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება საქართველოს სახელმწიფოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (სააგენტოს) ან/და მათი ნებისმიერი ორგანოს წინაშე.
3.4 ამ შეთანხმებით განსაზღვრული უფლებების და ვალდებულებების მესამე პირებზე გადაცემის შემთხვევაში, მესამე პირს გადაეცემა ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი უფლება და ვალდებულება.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1. საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა. პირგასამტეხლოს

დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო საფასურის გადასახდელი ნაწილის სრულად გადახდამდე ან სააგენტოს მიერ ხელშეკრულების 4.7. პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლამდე, იმის მიხედვით რომელი გარემოებაც დადგება უფრო ადრე.

4.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:

მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773287
დანიშნულება: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან.

4.3. ამ შეთანხმების შეწყვეტისა და შეწყვეტის შედეგების მიმართ გამოიყენება ხელშეკრულებით დადგენილი რეგულაციები.

4.4. შეთანხმების შეწყვეტის შემთხვევაში, სააგენტოს არ დაეკისრება საპრივატიზებო პირობის ან/და ამ შეთანხმებით/ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ გადახდილი თანხებისა და გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება.

5. გარდამავალი დებულებები

5.1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე. იგი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ექვემდებარება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, არსებობის შემთხვევაში, ამ შეთანხმების რეგისტრაციასთან დაკავშირებული (მათ შორის, სანოტარო მომსახურების) ხარჯების გადახდას უზრუნველყოფენ შესაბამისი კოოპერატივის წევრები.

5.2. წინამდებარე შეთანხმება დადებულია, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4. შეთანხმება შედგენილია 11 (თერთმეტი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ხოლო თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

დანართი

ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4

	სახელი / გვარი	პირადი ნომერი	კოოპერატივის ნომერი	საცხოვრებელი ფართი (კვ.მ.)		მიწის ნაკვეთის წილი - კვ. მ	სართული და ბინა	საკადასტრო კოდი
1	მანანა შენგელია	01006002329	645	125.50		197.126	სართ. 6, ბინა 53	01.14.01.008.096.01.01.053
2	გიორგი ბერიოზაშვილი	01017028272	645	75.00		117.804	სართ. 7, ბინა 66	01.14.01.008.092.01.01.066
3	ბესიკ ბლიაძე მაია ბლიაძე	01030013809 01030011467	645	125.50		197.126	სართ. 11, ბინა 105	01.14.01.008.093.01.01.105
4	თეონა ჭელიშვილი	01019067853	645	125.50		197.126	სართ. 6, ბინა 62,	01.14.01.008.092.01.01.062
5	დავით ჯოხაძე გიორგი ჯოხაძე	01017002269 01013015589	641	105.50		165.712	სართ. 11 ბინა 98	01.14.01.008.093.01.01.098
6	ლიანა კაცაძე	01001025524	598	78.50		123.302	სართ. 2, ბინა 18,	01.14.01.008.097.01.01.018

მხარეთა ხელმოწერები:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო:
ირაკლი თავართქილაძე (პ/ნ: [●])

კოოპერატივის წევრები ----------

შპს „თეთრი კვადრატი მინდელზეს“ (ს/ნ: 405589395) დირექტორი: